კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.10.18.006.068) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი 03.04.2015წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომას თავმჯდომარეობდა:
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – თემურ თორდინავა
სხდომას ესწრებოდნენ:
საკონკურსო კომისიის წევრები: დავით სიხარულიძე, ნინო ბურძენიძე
საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები: დავით ძოწენიძე, ნინო კონჯარია
მოწვეული კონსულტანტები: ნინო გვენცაძე, ლევან ძაგნიძე

დღის წესრიგი
კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.10.18.006.068) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობებში ცვლილების დამტკიცება.

მოისმინეს:
საკონკურსო კომისიის წევრის, დავით სიხარულიძის მოსაზრებით მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილება **ქ. თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.10.18.006.068) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით)შესყიდვის კონკურსში** საკონკურსო წინადადების მიღების ბოლო თარიღის ერთი დღით გადავადებასთან დაკავშირებით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და წევრებმა ერთხმად დაეთანხმნენ აღნიშნულს.

კომისიამ დაადგინა:
საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო დოკუმენტაციის მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

- დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (პირველ ეტაპზე მხოლოდ არქიტექტორულ- ესკიზური პროექტი ერთ დალუქულ კონვერტში ბეჭდური ვარიანტი (A3 ფორმატი) და ელექტრონული ვარიანტი PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 8 მბ-ს) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ **2015 წლის 14 აპრილის 14 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი #30 ა(ა)იპ „ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო".

საკონკურსო განცხადებში და დოკუმენტაციში ცვლილების გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge–ის მეშვეობით.

თავმჯდომარე: /თემურ თორდინავა/

კომისიის წევრი:	/დავით სიხარულიძე/
კომისიის წევრი:	/ნინო ბურძენიძე/
აპარატის წევრი:	/დავით ძოწენიძე/
აპარატის წევრი:	/ნინო კონჯარია/
მოწვეული კონსულტანტი:	/ნინო გვენცაძე/
მოწვეული კონსულტანტი:	/ლევან ძაგნიძე/